პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 84 (4078)
29
1970 წ.
აპრილი.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სპარტაკიადებისთვის მზადებას მიეძღვნა

გუშინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის ფიზკულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა და საქართველოს სსრ V სპარტაკიადებისთვის მზადებას მიეძღვნა.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები, ნაკრები გუნდების მწვრთნელები, აქტივი.

აქტივმა განიხილა რესპუბლიკის V სპარტაკიადის დებულება. გამოითქვა შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება დებულების პრაქტიკულად განხორციელების დროს.

საინტერესო წინადადებები წამოაყენეს: ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორმა ლ. ჩხაიძემ, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თანამშრომლებმა ი. ბაცელაშვილმა და გ. მერკვილაძემ, აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ, აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჩაჩავამ, ტყიბულისა და ონის ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეებმა ვ. ოქრუაძემ და შ. ქოჩლაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ვ. სამსონაძე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი შ. ახვლედიანი.

აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. მან კრების მონაწილეებს მიულოცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის, საპატიო სიგელისა და თასის მეთერთმეტედ მოპოვება და ახალი წარმატებები უსურვა.

თბილისში სტუმრადაა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის წყალბურთის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი ჯ. მაჰონეი მეუღლითურთ. ჩამოსვლის პირველივე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქის სპორტული ნაგებობები.

სურათზე: ჯ. მაჰონეი (ცენტრში) ესაუბრება ნორჩ ჩოგბურთელებს „დინამოს" კორტებზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## გუშინ...

თბილისში გაიმართა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ბოლო ტური. რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მეორედ მოიხვეჭა თბილისელმა ც. კახაბრიშვილმა, რომელმაც დასკვნით ტურში დაამარცხა ნ. ხუბულური, 12,5 ქულა მოაგროვა 15-დან და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა.

## გუშინ...

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის აუზში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. პირველი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ტორპედო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) 3:2, „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „დინამო" (ალმა-ათა) 7:8, წკფ (ბაქო) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:7. დანარჩენი მატჩები გვიან საღამოს დასრულდა.

## მოკლე ამბები

● ალმა-ათა, 27 აპრილი. ადგილობრივი „ბურევესტნიკის" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 (15:2, 15:12, 17:15) დაამარცხა ჰოლანდიის ჩემპიონი „ამვე". ახლა ნახევარფინალში ალმაათელთა მეტოქე უნგრეთის გუნდი იქნება.

● ტაშკენტი, 27 აპრილი. უზბეკეთის გზებზე გამართულ ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლაში, რომელშიც სამი რესპუბლიკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ყველას აჯობა ტაშკენტელმა ა. დულინმა. ეს ამ ნიჭიერი ველოსიპედისტის მეოთხე გამარჯვებაა უზბეკეთის მრავალდღიან ველორბოლებში. თუმცა ამინდი ძალიან არახელსაყრელი იყო — ველოსიპედისტებს თითქმის ყველა ეტაპზე ქარი და წვიმა დაესწროთ — რბოლის საშუალო სიჩქარე საკმაოდ მაღალი გამოდგა: 38,4 კმ საათში. მთავარი ჯილდო — უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თასი შეჯიბრების მასპინძლებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდნენ ყირგიზეთის, III — სომხეთის წარმომადგენლები.

● ვარშავა, 27 აპრილი. საბჭოთა ველოსპორტს წლეულს უცხოეთში პირველი გამარჯვება მოუტანა რიგელმა რ. კალნენიეკსმა, რომელმაც მოიგო ტრადიციული საერთაშორისო რბოლა ვროცლავის „გაზეტა რობოტნიჩას" (ქვემო სილეზია) თასზე. II ადგილი დაიკავა ასევე საბჭოთა ველოსიპედისტმა ა. გუსიატნიკოვმა (კუიბიშევი), III — პოლონელმა ვოზნიაკმა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 152 მრბოლელი. მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები, რომლებიც პოლონეთის გზებზე მშვიდობის მომავალი ველორბოლისთვის ემზადებიან.

## 20.45

◆ ლეიდენი, 28 აპრილი. ოთხი დიდოსტატის აქ მიმდინარე მატჩ-ტურნირში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა 75-ე სვლაზე დაამარცხა დანიელი მოჭადრაკე ბ. ლარსენი. ბ. სპასკი და ბოტვინიკი 66-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე ზავით დამთავრდა 47-ე სვლაზე ლარსენის პარტია ი. დონერთან (ჰოლანდია). 6 ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი სპასკი — 3,5 ქულა. ბოტვინიკსა და დონერს 3-3 ქულა აქვთ, ლარსენს — 2,5.

როცა გაზეთი ხელმოწერილი იყო...

## დამატებითი ბრძოლა... სასწორზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ ჩელიაბინსკში ჩატარდა სსრ კავშირის ინტერის სამბისტთა პირად-გუნდური პირველობა, რომლის შედეგებითაც მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა ვიყოთ. საქართველოს იუნიორებისთვის V გუნდური ადგილი შეუფერებელია თუნდაც იმიტომ, რომ ჭიდაობის ამ სახეობაში ჩვენს რესპუბლიკას მდიდარი ტრადიციები აქვს და საკავშირო სარბიელზე მუდამ მაღალ შედეგებს აღწევს.

წარუმატებლობის მიზეზთა გარკვევას ამ ინფორმაციაში არ შევუდგებით, მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ჩემპიონი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის ნ. ხარშილაძის სახით ჩვენმა გუნდმა ნაღდად დაკარგა. იქნებ იგი მსაჯთა უცაბედი შეცდომის მსხვერპლი გახდა? მიზეზი შესაძლოა სხვა რამეც იყო, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერმა სამბისტმა დაკარგა თავისი კანონიერი ადგილი.

ხარშილაძემ მოიგო ყველა ბრძოლა, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ გ. კოსტიაკოვთანაც, რომელიც შემდეგ ჩემპიონად გამოცხადდა. მაგრამ, ვინაიდან ბოლო შეხვედრის შედეგი მსაჯებმა ფრედ გამოაცხადეს, ორივე პრეტენდენტს აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები აღმოაჩნდა. დაინიშნა დამატებითი ბრძოლა... სასწორზე, რომელიც კოსტიაკოვმა რამდენიმე გრამით მოიგო.

სამაგიეროდ, პირველ საშუალო წონაში ტოლი არ ჰყავდა ხარშილაძის თანაგუნდელს ა. მუზაევს. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა (მწვრთნელი ი. ტლაშაძე) შეიდივე შეხვედრა ლამაზ სტილში მოიგო და ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. კიდევ ორი პრიზიორი, და ჩვენი გუნდის მიერ ჩელიაბინსკიდან წამოღებული ნადავლი ამოიწურა (პირველ ქვესაშუალო წონაში ე. გიგუაშვილმა II ადგილი დაიკავა, მძიმეში კი ნ. სალთხუციშვილმა — III).

ისღა დაგვრჩა, გაგაცნოთ ჩემპიონთა ვინაობა წონითი კატეგორიების მიხედვით და გამარჯვებული გუნდები. ჯერ დავასახელებთ ჩემპიონებს: ვ. მოსკიჩუკი, ვ. ნევზოროვი, ა. ფიატკინი, ვ. დვოინიკოვი (ყველა — რსფსრ), ი. გერასიმოვი (ლენინგრადი), გ. კოსტიაკოვი (რსფსრ), ა. მუზაევი (საქართველო), ნ. აფანასიევი (რსფსრ), ნ. შნაიდერი (ესტონეთი), ო. ვოკუდენკო (რსფსრ). 7 ჩემპიონი რუსეთის ფედერაციიდან! ცხადია, გუნდურ პირველობას მას ვერავინ შეეცილებოდა. მომდევნო ადგილებზე კი გავიდნენ უკრაინის, ბელორუსიისა და მოსკოვის ნაკრები კოლექტივები.

## მჯობნის მჯობნი

სოციალისტური ქვეყნების არმიელ ძიუდოისტთა ტრადიციულ ტურნირში, რომელიც ამას წინათ ვილნიუსში გაიმართა, მასპინძლების გარდა გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტები.

შეჯიბრება ჩატარდა საინტერესოდ, მაღალ დონეზე. გუნდური პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის ძიუდოისტებს ხვდათ. საქართველოდან ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გ. გოგოლაური და უნივერსიტეტელი შ. ფიცხელაური.

განსაკუთრებით ლამაზად და ეფექტურად იჭიდავა გოგოლაურმა. მან ჯერ საბჭოთა ნაკრების წარმატებაში შეიტანა თავისი წვლილი, შემდეგ კი პირად ტურნირში ივაჟკაცა, ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა. აღსანიშნავია, რომ გოგოლაურმა როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობაში დაამარცხა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, კორეელი პაკ სენ ჩუნი, რომელმაც აბსოლუტურ პირველობაში მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონს, მოსკოველ ვ. სოლოდუხინს (ქვემძიმე წონა).

ფიცხელაურმა III ადგილი დაიკავა მსუბუქი წონის ძიუდოისტთა ჭიდილში. სამაგიეროდ, მან გუნდურ ასპარეზობაში ყველა მეტოქეს აჯობა.

## რათა ყველას უყვარდეს სპორტი

8 მილიონამდე ბავშვი გაატარებს ზაფხულს პიონერთა ბანაკებში, შრომისა და დასვენების ბანაკებში, ტურისტულ და სპორტულ ბაზებში. რათა ეს დრო უკეთ გამოვიყენოთ მათი ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 24 აპრილს მიიღო დადგენილება „1970 წელს ბავშვებსა და მოზარდებს შორის საზაფხულო გამაჯანსაღებელ-სპორტულ მუშაობაში ფიზკულტურული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ".

ქვეყნის ყველა სპორტული ორგანიზაცია აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პიონერთა ბანაკების ახალი სეზონისთვის მზადებაში. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, აგრეთვე, სპორტულ საზოგადოებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უკვე ახლავე გაუწიონ კონტროლი ფიზიკური აღზრდის პედაგოგებისა და ცურვის ინსტრუქტორების შერჩევას. ზაფხულის პერიოდში ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელია მივიზიდოთ სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები, მწვრთნელები, ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტებსა და სასოფლო ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს მოუწოდა მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს, საკოლმეურნეობათაშორისო და საბჭოთა მეურნეობების პიონერულ ბანაკებში მასობრივი გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში, გაგზავნონ იქ საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები, უზრუნველყონ სპორტინვენტარითა და საჭირო მოწყობილობით.

24 აპრილის სხდომაზე კომიტეტის კოლეგიამ განიხილა 1972 წლის ოლიმპიადისთვის მზადების საკითხებიც.

შეჯამდა შედეგები მოსახლეობას შორის საუკეთესო ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში გაშლილი შეჯიბრებისა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნებოდა. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სპორტული ზეიმი დიღომში







ზეიმი მართლაც შესანიშნავი გამოდგა — ფართო პროგრამით, ხალხმრავალი როგორც მონაწილეთა, ისე მაყურებელთა მხრივ.

... ლამაზად გაფორმებული მოსაწვევები და დილიდანვე გაკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ დიღმის მასივის მოსახლეობას ელოდა დიდი სპორტული ზეიმი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ორგანიზატორებს ლოზუნგებითა და დროშებით მოერთოთ მასივის III კვარტალის სპორტული მოედნები. ტრიბუნებზე, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. რაც მთავარია, მაყურებელთა უმრავლესობას ნორჩები წარმოადგენდნენ.

გაისმა საზეიმო მარშის ხმა და ცენტრალურ მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ ზეიმის მონაწილენი, რომლებსაც ცხენოსანთა კოლონა მოჰყვებოდა.

დღესასწაულის ოფიციალური გახსნის შემდეგ მოედანზე შემოიტანეს თბილისისა და რუსთავის იმ სახლმმართველობებისა და საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების მოსახლეობის პატაკები, რომლებიც მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში არიან ჩაბმული.

აი, სულ რამდენიმე, მაგრამ მეტყველი ციფრი ამ პატაკებიდან: რუსთავში კონკურს-დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 10 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორამ, თბილისში—65-მა. ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქში მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში მონაწილეობდა 12.150 კაცი, ხოლო საქართველოს დედაქალაქში—80.736. რუსთაველთა შორის გაიმარჯვა № 8 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორამ, II ადგილზე გავიდნენ № 1, ხოლო III — № 7 კონტორის მუშაკები. თბილისში საუკეთესო იყო პირველი მაისის რაიონის № 90 სახლმმართველობა. II ადგილი წილად ხვდა ლენინის რაიონის № 6 სახლმმართველობას, III — ორჯონიკიძის რაიონის № 74 სახლმმართველობას. გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტისა და საბინაო სამმართველოს დიპლომები.

დიპლომებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, პირველი მაისის, ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები ჰ. პატარაია, ზ. კუტალაძე და ა. მეროზაშვილი, რომელთა რაიონებმაც წარმატებას მიაღწიეს მასობრივ-ფიზკულტურულ, სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში.

... მოედნებზე ერთდროულად იწყება შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მინი-ფეხბურთში, მოტობურთში, ცხენოსნობაში. დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ პრიზებზე სიმძიმეების აწევაში, სირბილში, ნორჩების რბოლამ სამთვლიანი ველოსიპედებით, ერთდროულმა სეანსმა ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატ ბ. გურგენიძის მონაწილეობით.

50-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაება კონკურსში, რომლის კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა მხოლოდ ხამმა შეძლო. ამ სამეულიდან საუკეთესო იყო ახალგაზრდა მოჭიდავე, კაფე „ნარგიზის" თანამშრომელი ა. მუმლაური, რომელმაც სპორტის კარგი ცოდნა გამოავლინა. იგი ბურთით დაჯილდოვდა.

...გვიანამდე გრძელდებოდა დიღომში სპორტული ზეიმი, რომლის წარმატებით ჩატარებისთვის ცოტა ჯაფა როდი დაადგათ პირველი მაისის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის მუშაკებს.

ო. ოთარაშვილი.

* * *

სურათებზე: შეჯიბრებების მომენტები.

ქ. ხაჩატუროვის ფოტო.

# ტრადიციულად... უხეიროდ



საქართველოს მძლეოსნები მასობრივად ბრწყინვალე შედეგებით რომ ვერ დაიქადნიან, ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს, რამდენიმე სპორტსმენის მაღალი მაჩვენებლები კი ამინდს ვერ შექმნის. და მაინც, მძლეოსანთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში რამდენიმე ჩვენს ათლეტს თუ კიდევ შეუძლია რესპუბლიკის ღირსების დაცვა, კროსზე ამას ვერ ვიტყვით. ამ სახეობაში ჩვენები საკავშირო ტურნირებში მუდამ უხეიროდ გამოდიოდნენ, ბოლო წლებში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. კროსი კი „სპორტის დედოფლის" დედაა; მძლეოსნობას სწორედ კროსი უნდა აძლევდეს შევსებას, განსაკუთრებით, საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენლებს.

საქართველოში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა რანგის კროსები. წლეულს უკვე ორი ასეთი შეჯიბრება (საგაზაფხულო და „პრავდის" პრიზზე) მოეწყო, მაგრამ გულშემატკივრებისთვის სიხარული მათგან არც ერთს არ მოუტანია. დღეს გვინდა „პრავდის" პრიზზე გამართულ რესპუბლიკურ კროსზე ვილაპარაკოთ.

შეჯიბრება ზუგდიდის სტადიონ-იპოდრომზე გაიმართა. თუ ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს შევეხებით, მასპინძლები დიდად ვერ მოიწონებენ თავს. ტრასების მომზადებისთვის დროულად არავის უზრუნია და ამიტომ ყველაფერი მსაჯთა კოლეგიის მოსაგვარებელი გახდა. უმჯობესი იქნებოდა, ფინალური შეჯიბრება თბილისში გამართულიყო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, შეჯიბრების მონაწილენი საერთაშორისო კლასის შედეგებს ვერც თბილისში მიაღწევდნენ — საამისო მომზადება არ გააჩნიათ.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი დათმობაზე წავიდა, როცა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის მხოლოდ იმ ქალაქებისა და რაიონების გუნდები გამოიძახა, სადაც მძლეოსნობის ჯგუფები მუშაობენ, ან ამ სახეობაში რაიმე ტრადიციები აქვთ. მაგრამ 39 კოლექტივის მაგიერ ზუგდიდში მხოლოდ 15 გუნდი ჩამოვიდა. შეჯიბრებას თავი აარიდეს ახალციხის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, კასპის, ლენტეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, ხაშურის, ჭიათურისა და სხვა ფიზკულტურის კომიტეტებმა. სწორედ ამანაც გამოიწვია უხეირო შედეგები.

2000 მეტრზე გამარჯვებისთვის მხოლოდ 7 ქალი იბრძოდა. თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის ღირსებას ორ-ორი სპორტსმენი იცავდა, გორიდან კი ასპარეზობდა მხოლოდ ლ. ასანიძე, რომელმაც გამარჯვებულ რ. შჩიკოვსკაიასთან (თბილისი, 7.59,0) 2 წუთზე მეტი წააგო და ბოლო ადგილზე დარჩა.

მონაწილეთა სიმრავლით არც 8000 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრება გამოირჩეოდა. 10 სპორტსმენიდან ორმა (გორელმა გ. შიუკაშვილმა და ფოთელმა ჟ. ხოშტარიამ) ფინიშამდეც ვერ მიაღწია. ვ. პეტროვმა (რუსთავი) 4 წუთზე მეტი წააგო გამარჯვებულ ნ. დავიდენკოსთან (თბილისი) — 26.37,8.

ყველაზე მრავალრიცხოვანი (34 სპორტსმენი) 3000 მეტრზე მორბენალ ჭაბუკთა შეჯიბრება იყო, მაგრამ სათანრიგო ნორმატივი (და ისიც მხოლოდ III თანრიგისა) მხოლოდ ხუთმა შეასრულა. სპორტსმენთა მომზადების უთანაბრო დონეს ისიც მოწმობს, რომ გამარჯვებულმა გ. ხუფაცარიამ (თბილისი) 9.46,0 აჩვენა, ბოლო ადგილზე გასულმა დ. არველაძემ (სამტრედია) კი 12.30,0 (გორელი ბ. ყურწუა და სამტრედიელი ე. არველაძე ფინიშამდე ვერ მივიდნენ).

უფრო მჭიდრო შედეგები აჩვენეს 1000 მეტრზე მორბენალმა გოგონებმა (გაიმარჯვა თბილისელმა მ. მეტრეველმა — 3.27,0) და 1500 მეტრზე მოასპარეზე ქალიშვილებმა (ყველას აჯობა თბილისელმა ა. კაზაკოვამ — 5.18,0).

ჭაბუკები 5000 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველობა მოიპოვა ა. მიქოიანმა (თბილისი) — 16.11,5. მას 4,5 წამით ჩამორჩა ი. გატიკოევი (სამხრეთ ოსეთი) და II თანრიგის შედეგებიც ამით ამოიწურა.

კვლავ ქებას იმსახურებენ წალკისა და ბოგდანოვკის წარმომადგენლები. ამ რაიონების სპორტსმენებს წვრთნისთვის სხვებზე უკეთესი პირობები როდი აქვთ, მაგრამ მეტი მონდომებით, საქმის სიყვარულით გამოირჩევიან. II ჯგუფის გუნდებში მათ შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. III ადგილზე გავიდა თელავის კოლექტივი.

I ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. სამხრეთ ოსეთი.

ვ. ფოფხაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.



* * *

სურათზე: ერთ კილომეტრზე მორბენალ გოგონათა სტარტი.

ვ. ბუკინის ფოტო.

# [illegible]

### სოხუმი

სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტის ფრენბურთელ ვაჟთა პირველობა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის გუნდმა.

ი. გიოშვილი.

### ტყვარჩელი

აქ დამთავრდა „განთიადის" რაიონული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ყველას აჯობეს მაღალმთიანი მე-5 შახტის სპორტსმენებმა.

ჟ. გიგლაია.

### გურჯაანი

დამთავრდა რაიონის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 26 სპორტსმენი მონაწილეობდა. მოზრდილებში I ადგილზე გავიდა ბ. ბადურაშვილი. მოსწავლეთა შორის ჩემპიონი გახდა ა. კალისტრატოვი. გოგონებში გაიმარჯვა მ. ქიტესაშვილმა.

* * *

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობაში 16 მოშაშე გამოდიოდა. 14 ქულით I ადგილი დაიკავა ს. ნალბანდიანცმა.

გ. წიკლაური.

### წითელი წყარო

რაიონის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 10 კოლექტივი მონაწილეობდა. კვლავ ისახელა თავი სოფელ არბოშიკის გუნდმა (ლ. კირკიტაშვილი, თ. ზუზიაშვილი, თ. სეფიაშვილი), რომელმაც გარდამავალი თასი შეინარჩუნა.

გ. კაკალაშვილი.

# სტარტზეა მიკიტენკო

ალმა-ათა, 27 აპრილი. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მძლეოსნობის ადგილობრივმა მოყვარულებმა შეჯიბრებაში კვლავ იხილეს თავიანთი თანაქალაქელი, ცნობილი სტაიერი ლ. მიკიტენკო. „პრავდის" შარშანდელ საკავშირო კროსში გამარჯვებული ამჯერად რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალში უძლიერესთა გარბენის სტარტზე გამოვიდა და ყველაზე სწრაფად გაირბინა 8-კილომეტრიანი დისტანცია—24.03,0. იგი კვლავ დაიცავს ყაზახეთის ღირსებას საკავშირო კროსის ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც 9 მაისს გაიმართება მოსკოვში.

ქალთა შორის 2 კილომეტრზე რბენაში საუკეთესო იყო ალმაათელი ლ. დემჩენკო — 6.43,0.

მიუხედავად წვიმისა, რომელმაც საგრძნობლად გააფუჭა ქალაქის იპოდრომის ბილიკები, ახალგაზრდა მძლეოსნებმაც საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწიეს. 1000 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის პირველი იყო ი. მილერი (ალმა-ათა) —3.12,0, ხოლო ჭაბუკებში 3000 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა ვ. მილაშენკომ (თემირტაუ).

„პრავდის" კროსის ყველა ეტაპზე წლეულს ყაზახეთის 200-ზე მეტმა მძლეოსანმა იასპარეზა.

# თერთმეტ სახეობაში

თვენახევარს გაგრძელდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი აფხაზეთის ქალთა III საგაზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 11 სახეობა იყო. მონაწილეობდნენ „განთიადის", „დინამოს", „სპარტაკის", „კოლმეურნის", აფხაზეთის განათლების სამინისტროს, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა და გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების ნაკრები გუნდები.

მოცურავეთა შეჯიბრება ჩატარდა ბიჭვინთის აუზში, ველორბოლა მერხეულის გზატკეცილზე გაიმართა, დანარჩენ სახეობებში კი სპორტსმენები სოხუმის ბაზებზე ასპარეზობდნენ.

ნიჩბოსნობაში, ფარიკაობასა და მძლეოსნობაში პირველობა მოიპოვა განათლების სამინისტროს კოლექტივმა, ტყვიის სროლასა და ჭადრაკში — „დინამომ", ფრენბურთსა და ველორბოლაში — „კოლმეურნემ", მაგიდის ჩოგბურთსა და ცურვაში — „განთიადმა". კალათბურთში ჩემპიონები გახდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ხოლო ბადმინტონში — „სპარტაკის" წარმომადგენლები.

საერთო ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა განათლების სამინისტროს კოლექტივმა. II ადგილი დაიკავა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, III — „დინამომ".

გ. იაშვილი.

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1970 ფეხბურთი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სინათლე“ (თბილისი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 3:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

თბილისელებმა შესვენებამდე ვერაფერი გააწყეს მეტოქის დაცვასთან, რომელიც ყურადღებით და შეთანხმებულად მოქმედებდა. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და აივაზოვმა ორიოდე წუთის შემდეგ გახსნა ანგარიში. ამას მოჰყვა „სინათლის“ ახალი იერიშები და ლორიამ და ქანთარიამ განამტკიცეს თავიანთი გუნდის გამარჯვება.

● „სქური“ (წალენჯიხა)—„გიგანტი“ (ლაითური) 4:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

წალენჯიხელებმა ტაიმი მოიგეს მინიმალური ანგარიშით—1:0 (კოკაია). შემდგომში ბოჩიაშვილმა ზედიზედ ორჯერ გაგზავნა ბურთი „გიგანტის“ კარში. მატჩის დასასრულს ლაითურელმა შაფათავამ ზუსტად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ დარჩენილ დროში კვარაცხელიამ კვლავ აღადგინა 3-ბურთიანი სხვაობა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) .— „მალაროელი“ (ჭიათურა) 3:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მასპინძლებმა თავდაპირველად ისეთი ტემპი აიღეს, რომ უკვე მე-20 წუთზე ანგარიში იყო 3:0 (ბურთები გაიტანეს ჩხეტიამ, ბასილაიამ და დანელიამ). „სალხინომ“ საკმარისად მიიჩნია ეს 3 გოლი, უკლო ტემპს და შეინარჩუნა გამარჯვება.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი)— „ენგური“ (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილასი).

ანგარიში უკვე მე-4 წუთზე გახსნა ელისაშვილმა, ხოლო ტაიმის დასასრულს ჩიხრაძემ მეორედ აიძულა ზუგდიდელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მეორე ტაიმში „ენგური“ ამაოდ ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას.

● „ცისკარი“ (სიღნაღი) —

# საქართველოს ჩემპიონატი

„ისანი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური“ (გალი) 1:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

25-ე წუთზე სტუდენტებს მიეცათ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება. პენალტი ზუსტად გამოიყენა მელიქიძემ.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 4:1. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:4. მსაჯი მ. დუბრავინი (თბილისი).

სამტრედიელებმა საუცხოოდ ითამაშეს. მე-19 წუთზე ამირანაშვილმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა ერთ-ერთი კომბინაცია. ეს გოლი წულუკიძელებმა მალე გაქვითეს, მაგრამ „ლოკომოტივი“ კვლავ განაგრძობდა იერიშს და მანჯგალაძემ სამჯერ გაიტანა ბურთი „ფეიქრის“ კარში. მასპინძელთა ამ მარცხში მთავარი დამნაშავეა მეკარე ვაშაკიძე, რომელიც დისციპლინის უხეში დარღვევისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სამცხე“ (აწყური) 0:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

## II ჯგუფი

### I ზონა

„აბული“ (ახალქალაქი) — „შევარდენი“ (თბილისი) 0:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 1:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „მშენებელი“ (წალკა) 1:1, „ბარისი“ (თეთრი წყარო) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:2, „მევენახე“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (რუსთავი) 3:3, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 3:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1.

### II ზონა

„დინამო“ (ქუთაისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 2:2, „ჭოროხი“ (ბათუმი) — „სამეგრელო“ (ზუგდიდი) 3:1.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 10 | 7 | 2 | 1 | 22—9 | 16 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 10 | 8 | 0 | 2 | 17—6 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 11 | 5 | 4 | 2 | 19—9 | 14 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 10 | 6 | 2 | 2 | 18—10 | 14 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 11 | 5 | 4 | 2 | 15—9 | 14 |
| „ისანი“ (თბილისი) | 10 | 4 | 5 | 1 | 9—5 | 13 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 11 | 5 | 3 | 3 | 13—12 | 13 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 10 | 3 | 6 | 1 | 12—7 | 12 |
| „სამცხე“ (აწყური) | 11 | 3 | 6 | 2 | 8—9 | 12 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 9 | 4 | 3 | 2 | 13—7 | 11 |
| „მზიური“ (გალი) | 10 | 3 | 5 | 2 | 12—9 | 11 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 11 | 3 | 5 | 3 | 10—9 | 11 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 11 | 2 | 6 | 3 | 6—6 | 10 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 11 | 2 | 5 | 4 | 11—16 | 9 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 9 | 2 | 4 | 3 | 7—13 | 8 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 11 | 0 | 8 | 3 | 8—15 | 8 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 9 | 1 | 4 | 4 | 9—12 | 6 |
| ასკ (თბილისი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—11 | 6 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—14 | 6 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 9 | 0 | 4 | 5 | 4—13 | 4 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 9 | 0 | 3 | 6 | 4—14 | 3 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 9 | 1 | 1 | 7 | 6—20 | 3 |



სურათზე: საქართველოს პირველობის ამას-წინანდელი მატჩი გარდაბნის „ვარკეთილსა“ და თბილისის „სინათლეს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ა. კავკასიძის ფოტო.

# უშედეგოდ

ჰოლანდიის აგარაკ ნორდვიკან-ზეში დაწყებული მატჩ-ტურნირი ლეიდენში გრძელდება. აქ შედგა VI ტური, რომელშიც ბოტვინიკი შეხვდა სპასკის, ლარსენი კი დონერს. მწვავე ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა: ორივე პარტია ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო. ამიტომ სატურნირო ცხრილში მონაწილეთა მდგომარეობა არ შეცვლილა: ერთპიროვნულ ლიდერს სპასკის 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

# უკანასკნელი ზონალური...

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, უკანასკნელი ზონალური ტურნირი ევროპის მოჭადრაკე ქალთათვის აპრილის მიწურულს ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) დაიწყება და 16 მაისამდე გასტანს. პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლებას მიიღებენ.

ტურნირში ითამაშებენ: კონარკოვსკა-სოკოლოვა, კ. და რ. იოვანოვიჩები (სამივე—იუგოსლავია), კატინგერი (ავსტრია), კუიპერსი (ბელგია), ტროიანსკა (ბულგარეთი), იერგერი, ვაშიცკი (ორივე — გფრ), პრიჩარდი (ინგლისი), ტუკი, ჰეემსკერკი (ორივე — ჰოლანდია), ივანკა (უნგრეთი), ლიტმანოვიჩი (პოლონეთი), ბაუმშტარკი, პოლიჰრონიადე (ორივე — რუმინეთი) და თითო წარმომადგენელი საფრანგეთიდან, ირლანდიიდან, შოტლანდიიდან და ესპანეთიდან.

# „მოლოდიოჟ გრუზიის“ ლაურეატები

გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ეტიუდების საკავშირო კონკურსის შედეგები. კონკურსში 180 ეტიუდისტი მონაწილეობდა. მათ 250 ნაწარმოები გამოგზავნეს.

„მოლოდიოჟ გრუზიის“ კონკურსში დიდი წარმატება ხვდათ საქართველოს ეტიუდისტებს, რომელთა ნამუშევრებმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

კონკურსის შედეგები ასეთია:

I პრიზი მიეკუთვნა გ. ნადარეიშვილს (თბილისი), II — ვ. იაკიმჩიკს (უსტ-კამენოგორსკი), III — ვ. ნეიძეს (თბილისი), IV — ვ. ბრონს (სვერდლოვსკი), V — ტ. გორგიევს (დნეპროპეტროვსკი).

პირველი საპატიო შეფასება მიილო დ. გურგენიძემ (თბილისი), მეორე — ა. ალექსეევმა (ომსკი).

პირველი საქები შეფასება დაიმსახურა ე. პოლოსიანმა (მოსკოვი), მეორე—ვ. დოლგოვმა (კრასნოდარის მხარე, სტანიცა დმიტრიევსკაია) და ა. კუზნეცოვმა (მოსკოვი).

სპეციალური საპატიო შეფასება მიიღეს ვ. ნეიძემ და ვ. ბრონმა, ხოლო სპეციალური საქები შეფასება — ა. სარიჩევმა (ბაქო).

კონკურსში დაწესებული იყო სპეციალური პრიზი იმ ეტიუდისთვის, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ შექებული ძმები პლატოვების ეტიუდის მოტივებზე იქნებოდა შედგენილი. ეს პრიზი მიეკუთვნა რ. თავარიანის (თბილისი) ნამუშევარს.

გთავაზობთ რ. თავარიანის ეტიუდს, რომელიც ღრმაშინაარსიანი მხატვრული საჭადრაკო ნაწარმოებია.



თეთრები იგებენ

აი, ამოხსნაც: 1. მფc8 e1ლ 2. d7 ლb4! (ხელს უშლის d8-ზე ლაზიერის გაცოცხლებას — 3. ... ლb7×) 3. d8მ+ (ძალთა თემატური შეფარდება ძალიან მოულოდნელად იქმნება) 3. ... მფb6 4. კc7+ მფa6 5. მc6! (შავი მეფის ირგვლივ მზადდება საშამათო ქსელი) 5. ... ლb7+ 6. მფd7 ლa8 (საოცარია, რომ ლაზიერი, რომელმაც სრული თავისუფლება მიიღო, დაფის კუთხეშია მომწყვდეული) 7. მb8+ მფb7 8. a5! (კვლავ შამათის მუქარით — 9. a6×) 8... a6 9. f4! (ზღუდავს შავი პაიკების (e6, f5, g6) სამკუთხედს. დასასრულიც ახლოსაა) 9. ... მფa7 10. მc6+ მფb7 11. კb8! და შავები აგებენ.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): დ. გურგენიძე, რ. თავარიანი, გ. ნადარეიშვილი და ვ. ნეიძე.

ბ. ქვათაძის ფოტო.



# ზამბრებს მალავილნენ

იუგოსლავიის საავარაკო ქალაქ როვინში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ერთპიროვნულად ლიდერობს ამერიკელი ფიშერი. 11 ტურის შემდეგ მას 9 ქულა აქვს. ფიშერს 1,5 ქულით ჩამორჩება გლიგორიჩი (იუგოსლავია), ხოლო პეტროსიანსა (სსრ კავშირი) და ჰორტს (ჩეხოსლოვაკია) 7-7 ქულა აქვთ, კორჩნოის — 6,5, სმისლოვსა (ორივე — სსრ კავშირი) და მინიჩს (იუგოსლავია) — 6-6.

რა მოხდა განვლილ X და XI ტურებში? 26 აპრილის „ლელოში“ გამოქვეყნებული იყო XI ტურის შედეგები. X ტურის შეხვედრებიდან აღსანიშნავია ფიშერის გამარჯვება გლიგორიჩთან, სმისლოვისა — კურაიცასთან და კორჩნოის მოულოდნელი წაგება მაროვიჩთან (იუგოსლავია). სხვა ლიდერებმა — პეტროსიანმა (მინიჩთან) და ჰორტმა (გიცესკუსთან) შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს.

XII ტურიდან შეჯიბრება ზაგრებში გაგრძელდება. სათამაშო დარჩა 6 ტური. ფინიშზე ალბათ ყველაზე საინტერესო იქნება ფიშერის შეხვედრები ჰორტთან (XIII ტური), კორჩნოისთან (XVI) და პეტროსიანთან (XVII), აგრეთვე, პეტროსიან — ჰორტის (XV) და გლიგორიჩ — კორჩნოის (XIII) პარტიები.



# გაიცანით: ოქროს ქალღმერთის ხელის მაძიებლები

სამეფო ჩახედული ხალხი ერთხმად ადასტურებს: ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის III წინასწარი ჯგუფი (ამ ჯგუფის მატჩები ჩატარდება მექსიკის ქალაქ გვადალახარაში) ყველაზე უფრო ძლიერია თავისი შემადგენლობით. კენჭისყრის ნებით, III ჯგუფს სათავეში უდგანან ოქროს ქალღმერთის მფლობელნი — ინგლისელები, მასში შედიან, მრავალი უცხოელი მიმომხილველის აზრით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მთავარი პრეტენდენტები — ბრაზილიელები, აგრეთვე, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მზარდი, ძლიერი გუნდები.

„ინგლისს არ ეშინია! — აცხადებს მსოფლიო ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი ა. რამსეი. — ჩვენი გუნდი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადებით ყველა სხვა პრეტენდენტზე მაღლა დგას, ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს შევინარჩუნებთ. თუ ბრაზილიელები რამდენიმე წლის წინ საფეხბურთო დიქტატორები იყვნენ, ახლა ჩვენს ხელთაა ყველა „საიდუმლოება“ და შეგვიძლია, ვისაც გვნებავთ, მივცეთ ფეხბურთის გაკვეთილი“.

... 17 მოგება, 7 ფრე და მხოლოდ 4 წაგება — შოტლანდიის, გფრ-ის, იუგოსლავიისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებში, ასეთია ინგლისელთა „ანგარიში“ 1966 წლის 30 ივლისის იმ სამახსოვრო დღის შემდეგ, როცა ისინი პირველად დაეუფლნენ ოქროს ქალღმერთს. შედეგი დამაკმაყოფილებელია. მაგრამ რატომაა ასე დაბალი მსოფლიო ჩემპიონთა შედეგიანობა? ბოლო 3 წლის მანძილზე ტრიუმფატორებს ყოველ მატჩში საშუალოდ გაჰქონდათ მხოლოდ თითო ბურთი. ინგლისურ გაზეთებში ასეთი სათაურიც კი გამოჩნდა: „ლომები და კურდღლები ვერ შეთამაშდებიან“. ქარაგმა „ლომებზე“ ნიშნავს მცველებს, ხოლო „კურდღლებზე“ — თავდამსხმელებს. მაგრამ რამსეი მაინც იმ აზრისაა, რომ შეაერთოს ეს „ლომები“ და „კურდღლები“. აი, მისი სიტყვები: „ყოველი მოთამაშე ერთდროულად მცველიც უნდა იყოს და თავდამსხმელიც, დროზე გაეშუროს მეტოქის კარისკენ და დროზე დაბრუნდეს უკან. დარწმუნებული ვარ, რომ 70-ან წლებში ინგლისური ფეხბურთი კიდევ უკეთეს შედეგებს მოიპოვებს. მექსიკაში ჩვენ გავემგზავრებით დარწმუნებული, რომ შევძლებთ ქალღმერთის შენარჩუნებას და პირველი ევროპული გუნდი ვიქნებით, რომელიც გამარჯვებას მიაღწევს ოკეანეს გაღმა“.

... ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ძალთა რეაქტიული გამანადგურებლები, რომლებიც სრულ მზადყოფნაში იყვნენ, რათა გამარჯვების შემთხვევაში ესკორტით გაეცილებინათ თანამემამულეთა ლაინერი, რომელსაც ინგლისიდან შინ უნდა წაეყვანა გმირები, ჰაერში არ აფრენილან, ხოლო „ჩერჩილის თასი“, რომელსაც უნდა შეეცვალა „ჟიულ რიმეს თასი“, აღარ ჩამოუსხამთ: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები 4 წლის წინ ხომ მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდნენ. ისინი კი ფეხბურთის სამშობლოში მიემგზავრებოდნენ იმ განზრახვით, რომ სამუდამოდ წაეღოთ ბრაზილიაში ოქროს ქალღმერთი... „მსოფლიო ფეხბურთის გრანდები“ 8 წლის მანძილზე გადიოდნენ ფინალში შესარჩევი თამაშების ჩაუტარებლად. და აი, 1969 წლის აგვისტოში მათ კვლავ მოუხდათ ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლაში ჩაბმა. ყველა 6 მატჩი ბრაზილიელებმა იოლად მოიგეს და კოლუმბიის, ვენესუელისა და პარაგვაის გუნდების კარში 23 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ 2 მიიღეს. ეს შესარჩევი თამაშების რეკორდია. მეორე რეკორდი დაამყარა 23 წლის ფორვარდმა ტოსტაომ, რომელმაც ათჯერ აიძულა მეტოქეები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ეს წარმატებები ბევრად იყო დაკავშირებული ნაკრების სათავეში მოსული 47 წლის ჟოაო სალდანიას — ცნობილი ბრაზილიელი რადიო და ტელეკომენტატორის სახელთან. შარშან ზაფხულში, ევროპაში „დაზვერვაზე“ გამგზავრების წინ, სალდანიამ განაცხადა, რომ იგი არასოდეს შეცვლის არც ერთს მის მიერ არჩეული 22 მოთამაშიდან. მაგრამ ოკეანეს გაღმიდან დაბრუნებისთანავე მან ერთბაშად 5 მცველი გაათავისუფლა: „დაცვაში მე მჭირდებიან „გოლიათები“, რათა ბრაზილიელებს შეეძლოთ რეალურად ებრძოლონ ევროპელებს მათს ძალისმიერ თამაშში“.

სალდანიას განთქმული განცხადება იმის თაობაზე, თუ რას უნდა მოველოდეთ გუნდისგან, როცა შეეცდებიან მას უხეშად მოექცნენ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე, დღემდე გაცხოველებულ მითქმა-მოთქმას იწვევს მთელს მსოფლიოში. „თუ ვინმე შეეცდება უხეშობას და იმ ხერხების გამოყენებას, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ფეხბურთთან, ჩვენც შევწყვეტთ ფეხბურთის თამაშს. ეს იქნება ომი და ჩვენ შევეცდებით ჯოთოთ, და არა უბრალოდ ერთი ან ორი მოთამაშით, არამედ ყველა თერთმეტით“.

სალდანიას ხელმძღვანელობით ბრაზილიელებმა მოიპოვეს მთელი რიგი დამაჯერებელი წარმატებანი, მათ შორის, ინგლისელებთანაც (2:1), მაგრამ საკმარისი გახდა არგენტინის ნაკრებთან დამარცხება (0:2) და მწვრთნელი წამსვე გადააყენეს. სალდანიას ბრალი დასდეს ნაკრების კანდიდატთა ძალმომრეობით შემცირებაში, რომ მან ზოგიერთ თამაშში არ გამოიყვანა პელე და ჟაირზინიო, და იმაშიც, რომ მას... არ ჰქონდა უმაღლესი საფეხბურთო განათლება.

„ვაკანტურ“ ადგილზე მოვიდა 39 წლის მარიო ზაგალო — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. მისი დებიუტი ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე კარგი გამოდგა: ბრაზილიელებმა ჩილის გუნდი დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით — 5:0. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ „მარაკანას“ ზაყურებლებმა სტვენით [illegible] ჩემპიონების [illegible] მოწყვეტილი მატჩი [illegible] თან ფრედ დამთავრებული მატჩის — 0:0. სწორედ ამიტომ უნდა მივუგდოთ ყური ცნობილ მწვრთნელს ა. მორეირას, რომლის ხელმძღვანელობითაც ბრაზილიელებმა 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს: „ყველა გუნდს, ვინც მოხვდა მესამე შესარჩევ ჯგუფში, მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსები აქვს“.

... უკვე ის ფაქტი, რომ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა მექსიკისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს პორტუგალიისა და უნგრეთის ფეხბურთელებს, ერთობ მრავლისმეტყველია და სენსაცია არ იქნება, თუ რუმინელები ან ჩეხოსლოვაკიელები, რომლებიც გულმოდგინედ და დიდი წარმატებით ემზადებიან მექსიკის ბატალიებისთვის, აიძულებენ ჩემპიონებსა და ექს-ჩემპიონებს შეეწყვიტონ 8 უძლიერესის რიცხვში გასასვლელად. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი კომპეტენტური პიროვნების (ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით 1962 წელს ჩილეში ვერცხლის მედლები მოიპოვა) რ. ვიტლაჩილის ნათქვამი: „კენჭისყრამ ჩვენი გუნდის წინაშე აღმართა ზღუდე, რომლის დაძლევა ძალიან საინტერესოა. არ შეიძლება დღევანდელი მდგომარეობა შევადაროთ იმას, რაც ჩილეში იყო 8 წლის წინ. ბრაზილიაც და ინგლისიც ახლა ის მეტოქეები აღარ არიან“.

ოპტიმისტურად აფასებენ კენჭისყრის შედეგებს რუმინეთის ნაკრების მოთამაშეები (ეს გუნდი 30 წლის შესვენების შემდეგ კვლავ აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა შორის). აი, მაგალითად, რა თქვა ნახევარმცველმა ლ. დუმიტრაკემ: „ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონების გარდა (მათთან კი რუმინელებმა შარშან „უემბლის“ სტადიონზე ფრედ ითამაშეს — 1:1. — ა. კ.) სხვა მოწინააღმდეგეებს ჩვენს ჯგუფში არ ვიცნობთ. ასეთივე მდგომარეობაში არიან ჩვენი მეტოქეებიც. ესე იგი, მოულოდნელობის შესაძლებლობა გამორიცხული არაა. დიდი ხანია ვოცნებობ ვითამაშო პელეს წინააღმდეგ. ახლა ასეთი შემთხვევა მომეცა“...

ა. კაჩალოვი.
(საქდესის კორ.).

# ნისლი გვადალახარაში

# თასი — „მეშახტეს“

## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისთვის. ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთის „გურია“ და ტყიბულის „მეშახტე“. გაიმარჯვეს ტყიბულელებმა — 3:0.



ს უ რ ა თ ზ ე: თასის გათამაშებაში გამარჯვებული „მეშახტე“.
მ. ზარგარიანის ფოტო.

## [illegible]

● ბერლინი, 27 აპრილი. გდრ-ის დედაქალაქში დამთავრდა სსრ კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთის, შვეციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კლასიკოსთა“ საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა მოჭიდავეებმა 5 პირველი ადგილი დაიკავეს. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონი ნ. იაკოვენკო (დონის როსტოვი), რომელიც პირველად გამოვიდა მძიმე წონაში, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, ნოვოსიბირსკელი კ. ოლზოევი (მჩატე წონა), როსტოველი ა. ჟუკოვი (უმჩატესი), მოსკოველი ი. მუხარლიამოვი (პირველი ქვესაშუალო) და ბარნაულელი ფ. ხრამცოვი (ქვემძიმე). II ადგილები დაისაკუთრეს ირკუტსკელებმა კონიშჩევმა (პირველი ქვესაშუალო), პანტელეევმა (მეორე საშუალო) და სარატოველმა მუხანოვმა (მეორე ქვესაშუალო).

● სოფია, 27 აპრილი. დ. კოლოვის ტრადიციულმა მემორიალმა თავისუფალი სტილის 120 მოჭიდავეს — სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ის, საბერძნეთის, ირანის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. საუცხოოდ იჭიდავეს ბულგარელებმა, რომლებმაც თითქმის ყველა პირველი პრიზი მოიგეს. მხოლოდ ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა 20 წლის ი. იარიგინმა (კრასნოიარსკი). II ადგილებზე გავიდნენ მოსკოველი ვ. კაზახოვი (პირველი ქვესაშუალო), მინსკელი ვ. სიულკინი (პირველი საშუალო) და ორჯონიკიძელი ს. ანდიევი (მძიმე).

# სილამაზე სილამაზის წილ

რიგა. მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასის მფლობელმა ალა ზასუხინამ პროგრამა ბრწყინვალედ შეასრულა, მაგრამ... დაჯილდოების დროს დაიბნა. რიგის მხატვრებმა მას ასარჩევად შესთავაზეს ფერწერისა და კერამიკის ნიმუშები, აკვარელითა და გრაფიკით შესრულებული ნამუშევრები.

აპრილში, როცა ლატვიაში მხატვრების დღეები ეწყობა, უკვე მეშვიდედ ჩატარდა რესპუბლიკის მხატვართა კავშირის პრიზების გათამაშება ამ სახეობაში. ზასუხინასა და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების 14 წლის წევრის ლ. ბაირამგაზიევას გარდა, რომლებიც რიგაში ასტრახანიდან ჩამოვიდნენ, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლატვიის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებიც. ამას წინათ მათ პირველად მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონობა ჯგუფურ ვარჯიშში.

ლატვიის სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. მურნიეკმა განაცხადა, რომ ხელოვნების მოღვაწეებსაც ჰქონდათ შეჯიბრება. რამდენიმე ნამუშევარი გრაციების დასაჯილდოებლად შესაფერისად ცნეს. კონკურსში გამარჯვება მოიპოვეს პოპულარულმა ლატვიელმა მხატვრებმა — კომკავშირის საკავშირო პრემიის ლაურეატმა გ. კროლისმა, ა. ნიკიტინმა, ა. მეგნისმა, ს. შმიდკენემ და სხვებმა. დაჯილდოების დროს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის პრიზიორებს მათს ნამუშევრებსაც გადასცემდნენ.

(საქდესი).

## [illegible]

სპენი, 26 აპრილი. საშუალო წონის შვედმა ძალოსანმა ჰ. ბეტენბორგმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 175 კგ აჰიმა — ნახევარი კილოგრამით დაამძიმა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ დაამყარა.

**ისევ ბეტენბორგი!**

რედაქტორი მ. კაკაბაძე

თბილისის სპორტული [illegible]

**წყალბურთი.** ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. **დღეს:** „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობა. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 81 უე 08172